

კეთილდღეობის ამაღლება ყველა ეტაპზე ეკონომიკური განვითარების პირმოყო

პარმენ ლემონჯავა
ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

თანამედროვე ეტაპზე სტუდენტ-ახალგაზრდობის და მკითხველთა ფართო წრის განათლების დონის ამაღლების მიზნით შესაბამისი ლიტერატურით უზრუნველყოფას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

მართალია, ამ მიმართულებით გარკვეული წარმატებები აქვს ჩვენს ქვეყანას, მაგრამ არც იმას ვერ ვიტყვით, რომ თანამედროვე დონის ლიტერატურით სტუდენტ-ახალგაზრდობა, ფართო მკითხველი განებივრებულია და გაუმჯობესების სურვილს არ იმსახურებს.

აქედან გამომდინარე, კვლავ აქტუალურია ჩვენი სტუდენტ-ახალგაზრდობის და მკითხველთა ფართო წრის დროის შესაბამისი სპეციალური ლიტერატურით უზრუნველყოფა, ეს იქნება მშობლიურ ენაზე დაწერილი თუ თარგმნილი ლიტერატურით. ამ მხრივ მნიშვნელოვანია წიგნის თაროზე ისეთი ნაშრომის გამოჩენა და ბაზრისათვის მიწოდება, როგორც არის ქართულად ნათარგმნი ნაშრომის „კეთილდღეობა ყველასათვის“,¹ რომლის ავტორია მსოფლიოში საყოველთაოდ აღიარებული გერმანელი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ლუდვიგ ერჰარდი, რომლის სახელთან და მის ნაშრომთან არის დაკავშირებული გარკვეული დროის განმავლობაში გერმანიის, როგორც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, აღორძინება და ცნობილია „გერმანული სასწაულის“ სახელწოდებით.

ლუდვიგ ერჰარდი გერმანიისა და გერმანელი ხალხის წინაშე ვალდებული აღესრულა 1977 წელს და დაკრძალულია ბავარიის პატარა ქალაქ გბუნდის სასაფლაოზე, ტეგერნის ტბის თვალწარმოც ნაპირზე, მისი სააგარაკო სახლის მახლობლად.

დაბეჯითებით და მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ დღეს ქართულენოვან მკითხველის წინაშე წარსადგენად წარმოდგენილი ნაშრომის „კეთილდღეობა ყველასათვის“ დიდი შრომაა გაწეული მთარგმნელთა ჯგუფის მიერ. განსაკუთრებით დიდია ამ ნაშრომის თარგმნის ინიციატორის პროფესორ ანზორ აბრალავას

როლი, რომლის ესეც „კეთილდღეობის არქიტექტორი“ წინდართული აქვს ნაშრომს.

ნაშრომის შინაარსი და სტრუქტურა საინტერესოა, რადგან იგი გამოსადეგია პოსტსაბჭოურ სივრცის ყველა ქვეყნისათვის და მათ შორის ისეთ ქვეყნისათვის, როგორც არის საქართველო, რომლის ტერიტორიის 20 პროცენტი ოკუპირებულია და არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა აქვს.

ამ ნაშრომში საზოგადოება მკაფიოდ დაინახავს მაშინდელი გერმანიის მდგომარეობაში მყოფ ქვეყნებში, თუ როგორ უნდა მოიქცეს ერი, ხელისუფლება და პოლიტიკური პარტიები.

ნაშრომში თვალნათლივ ნახვენებია, თუ როგორ გახდა ომში დამარცხებული გერმანია გამარჯვებული და როგორ გაქრა არენიდან მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებული საბჭოთა კავშირი.

ამ წიგნის მაგალითზე საზოგადოებას შეუძლია ისწავლოს, თუ როგორ შეიძლება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში წარმატებების მიღწევა, როგორ ჩამოყალიბდეს ახალი ეროვნული ეკონომიკური აზროვნება და სხვა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ნაშრომის თარგმანი თავისებურებებით ხასიათდება და განსხვავდება მისი რუსულ ენაზე 1991 წელს თარგმანისაგან. მისი შინაარსი გერმანულენოვანი თარგმანების აზრით, უფრო უახლოვდება ორიგინალს.

მეორე თავისებურებას, წარმოადგენს ის, რომ მის ტექსტში ჩართულია ყველა მომენტის, სიტუაციის, პასუხის დასურათება და გაშარუება, რომელიც მოცემულია ორიგინალში და რუსული თარგმანის ტექსტში არ არის, რაც მიმზიდველსა და საინტერესოს ხდის ნაშრომს.

ნაშრომის ტექსტი საინტერესოა და კარგად იკითხება. მასში გაშუქებული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური საკითხები შეიძლება თავისუფლად გამოყენებულ იქნას ლექციების წაკითხვის პროცესში – საგნებში: „ეკონომიკის პრინციპები“, „პოლიტოლოგია“,

¹ ლუდვიგ ერჰარდი, კეთილდღეობა ყველასათვის, 432 გვ. გამომცემლობა „გრანიტ“, თბ., 2011.

„საქართველოს ისტორია“ და სხვაგან.

მე, მინდა აქ განსაკუთრებით აღვნიშნო ერთ მნიშვნელოვან ეპიზოდზე. ლექცია მქონდა საგანში „ეკონომიკის პრინციპები“ და გამოვიყენე შესაბამის ადგილები ამ ნაშრომის ქართული თარგმანიდან, რამაც საინტერესო გახდა ლექციის პროცესი. ლექციის დამთავრების შემდეგ სტუდენტები მოვიდნენ და მთხოვეს, „სად შეიძლება ვიყიდოთ ის წიგნი, საიდანაც თქვენ შესაბამისი ადგილები მოიყვანეთ“. ასე რომ, ნაშრომი ქმედით დახმარებას გაუწევს ბაკალავრებს, დოქტორანტებს, მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების პრობლემებით დაინტერესებულ ფართო მკითხველს. ამ ნაშრომის ქართულად თარგმნით და გამოცემით კარგი საქმეა გაკეთებული. მინდა ამ ნაშრომის მთარგმნელ ჯგუფს და მის მთავარ ინიციატორს პროფესორ ანზორ აბრალავას, რომელმაც კოლოსალური შრომა გასწია მისი თარგმნისა და გამო-

ცემისათვის, ვუსურვო დიდი წარმატებები.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ პროფესორ ანზორ აბრალავას გამზადებული აქვს გამოსაცემად აქ წარმოდგენილი ნაშრომის თარგმანზე და გერმანიის სასწაულზე დაყრდნობით ბელეტრისტული სათაურით ნაშრომი „ოდერის გაზაფხული“. მე, კი ჩემი მხრიდან მინდა ვუსურვო მას, მიეცეს ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების საფუძველზე დაწეროს და გამოაქვეყნოს არა მხოლოდ ნაშრომი „ოდერის გაზაფხულის“, არამედ „ალაზნის გაზაფხულის“, „ენგურის გაზაფხულის“, რიონის გაზაფხულის“ და განსაკუთრებით „მტკვრის გაზაფხულის“ სახელწოდებით, სადაც ასახული იქნება XXI საუკუნის გამოწვევებიდან გამომდინარე, ის წარმატებები, რომელსაც ნაბიჯ-ნაბიჯ სვლით მიაღწევს ჩვენი ქვეყანა საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის პროცესში.